2-4289/26
08-04-2026

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დასკვნა

საქართველოს კანონების პროექტებზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N284/3-XIმპ, 01.04.2026)

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი გაითვალისწინებს ახალი - C5 კატეგორიის ორდინალური ვიზის გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნული კატეგორიის მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა 5 წლის მოქმედების ვადით და საქართველოში ყოფნის 1 წლის ვადით. აღნიშნული სახის ვიზა გაიცემა მოკლევადიანი მიზნებით საქართველოში მომავალ პირზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიზე შემოდის ტურისტული მიზნით და რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს საქმიანობა მხოლოდ არარეზიდენტი პირის სასარგებლოდ, თუ ის უკავშირდება არარეზდენტი პირის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის განხორციელებას. ამ კატეგორიის ვიზა ასევე გაიცემა პირის მეუღლესა და არასრულწლოვან შვილზე/შვილებზე. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონებში წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, C5 კატეგორიის ვიზის, მათ შორის

სპეციალური ვებგვერდის (e-VISA PORTAL) მეშვეობით ელექტრონული ვიზის გაცემის საკითხის განხილვისათვის მოსაკრებელი და ბაჟი განისაზღვრება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 500 აშშ დოლარის ოდენობით, თანხის ოდენობა დადგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ დაექვემდებარება.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კანონების პროექტები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მომზადებულად მიიჩნია ისინი პარლამენტის სხდომაზე განსახილველად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე